ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 323

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იან დავიდოვისთვის (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იან დავიდოვისთვის (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 26 სექტემბრის №19.1023.1290 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იან დავიდოვისთვის (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 10 550 (ათი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე